It is well known that one of the peculiarities of the totalitarian regime was the deletion of undesirable information from the collective memory. With this aim, numerous films, theatrical performances and paintings were banned... even people disappeared. “The Bibliography of Georgian Periodicals” was also prohibited. However, as it seems, they only noticed the hostility in it later, only after its publication, otherwise they would have not published a positive review of P. Gugushvili in the fifth issue of “Mnatobi” journal, 1948.

According to one opinion, the censor’s decision regarding the prohibition of the book must have been due to the statistical information contained in the bibliography, according to which the Bolshevik press comprised of only 20% of the total volume of publications issued by different parties. “This simple arithmetic proved that, prior to the year 1921, Bolshevik ideology was not popular among the Georgian population. Hence, the conclusion: the Bolshevik i.e. Communist authority was imposed on Georgia from outside” (M. Mikaberidze).

According to another opinion, the above-mentioned fact was not the only reason for the prohibition of the book. “Another reason was that the book contained the names of repressed people” (A. Loria).

The above reasons, either jointly or separately, led to the annihilation of unsold books issued in the amount of 2150 copies. We have obtained one rare copy which has escaped this awful fate. Based on the analysis of this book, the paper focuses on the general cultural significance of the book and the ineffaceable trace that was meant to be effaced.

თამარ პაიჭაძე

გორა მგზორგალი – ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის

„წვართვანი ყოფნათა, აღსულებათა და მიქცევისათვის“ – ეს სიტყვები ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მეორე სახელად ან მცირე ეპიგრაფად მოიაზრება, რადგან მკითხველი წიგნის პირველივე გვერდებიდან ემგზავრება ადამიანს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის და, რაც მთავარია, სულიერი სავანის თუ სულიერი სიმაღლის ძიების უმძიმეს და ურთულეს გზაზე.

ეს გზა კი ორი რაკურსიდან აღიქმება. ფიზიკური და სულიერი გზა; გზა გასავლელი ფეხით და გზა გასავლელი ფიქრით.

„გორა მბორგალი“ ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ამსახველი რომანია. მკითხველის თვალწინ ნაბიჯ-ნაბიჯ ცნაურდება იმ სისხლიანი სტრატეგიის დეტალები, წითელი პოლიტიკის მთავარი მიზანი რომ გახდა: ნელ-ნელა ნაღებივით მოეხადა საზოგადოებისათვის მისი მოაზროვნე და საამაყო ნაწილი: მეცნიერები, შემოქმედები, ინტელიგენცია

რომანს ხაზგასმით მიჰყვება გორა მბორგალის მკაცრი ორეულის კონკრეტული კითხვა – მერე? ეს კითხვა ორივე გორაში ნელ-ნელა იზრდება და გზის ბოლოს მთელი სიმძაფრით დგება გმირის წინაშე. მიზანი შესრულდა, „თავგანწირულმა სულისკვეთებამ“ შედეგი გამოიღო, სიცოცხლის სიყვარულმა გაიმარჯვა,მაგრამ მთავარი გზა ჯერ კიდევ შეუცნობელია – ეს სულის გზაა, სწორედ ამ გზით მიდის და კითხვა „მერე?!“ მთელი გზა რომ აწვალებს გორა მბორგალს; ნუთუ ამაოა ყოველივე ძალისხმევა ადამიანისა, ნუთუ ყოველივეს გზა არსაითაა? ამ კითხვას ადამიანმა თავისი ცხოვრებითა და მრწამსით უნდა გასცეს პასუხი, რადგან ყველას თავისი გზით მიაქვს საკუთარი სხეული და გონება, ამ გზას კი ადამიანის სულით სჭირდება განათება.

Tamar Paichadze

GORA MBORGALI – FOR MORAL-PSYCHOLOGICAL PORTRAIT

“Gocha Mborgali” by Chabua Amirejibi shoudl be considered the fiction document of the twentieth century.

It reflects the period of ”The Red Dictatorship“ of the seventies on the example of Iagor Kargareteli’s (Cocha Mborgali’s) life, who is the main hero of the novel.

It is underlined in the novel that there is no actual difference between Georgian of the twenties, thirties or forties, neither can you see the difference between the life inside or outside the Soviet people: on the whole it was one common area of people deprived of freedom, and only few of them could keep devotion to more values.

მადლენ პაპოშვილი

პოლიტიკური აზრის კრიზისი საქართველოში საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციიდან დღემდე

აბსტრაქტი: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ნელ-ნელა კიდევ უფრო მოიკიდა ფეხი ეროვნულმა და ნაციონალისტურმა დისკურსმა, რომელიც რამდენიმე ათწლეული დინამიკურად ვითარდებოდა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ნაციონალისტური დისკურსი ხშირად ცდებოდა პატრიოტული მოტივების ჩარჩოებს და ეთნონაციონალისტურ სენტიმენტებში იზრდებოდა, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაამწვავა შიდასახელმწიფოებრივი და სამოქალაქო დაძაბულობა, რისი კულმინაციაც იყო აფხაზეთის ომი, ქართულ-ოსური კონფლიქტი და სამოქალაქო ომი. ისტორიულად შოვინიზმი და ქსენოფობია არასოდეს ყოფილა ქართული კულტურის შემადგენელი ელემენტები, შესაბამისად, 90-იანებში შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა ორგანული არ ყოფილა ქართული საზოგადოებისთვის და, შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობაში მოდიოდა ქართულ კულტურასთან და ისტორიულ გამოცდილებასთან.

მას შემდეგ სამი დეკადა მიიწურა და ქართული აკადემიური თუ პოლიტიკური სპექტრი მთლიანად ლიბერალური მონომოდალისტური პროექტის დომინაციის არეალად იქცა, ალტერნატიული პოლიტიკური ხედვები და პროექტები სააზროვნო სივრციდან მარგინალიზებულია ან განდევნილი. ეს პროცესი ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყო, ხოლო მიხეილ სააკაშვილის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის დროს ლიბერალური იდეოლოგიის რადიკალური ვერსია ცხოვრების ყველა დონეზე გავრცელდა და სრული ჰეგემონია მოიპოვა. ამ პირობებში ნებისმიერი პოლიტიკური მოსაზრება თუ ინიციატივა ლიბერალური იდეოლოგიის ფილტრს გადიოდა და შესაბამისად კვალიფიცირდებოდა, პრინციპით „ვინც ჩვენს შეხედულებებს არ იზიარებს, ის ქვეყნის მტერია“. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ისიც, თუ როგორ მოხდა საბჭოთა წარსულის და გამოცდილების სრული დემონიზება და ყველაფერი, რაც რაიმე ფორმით ასოცირდებოდა საბჭოთა კავშირთან, როგორ იგმობა შესწავლისა და ყველანაირი მეცნიერული ანალიზის გარეშე.

ასეთი სიტუაციის მიუხედავად, ქართულ აკადემიაში მაინც მოხერხდა ისეთი თეორიის დაგენერირება, რომელიც გლობალური მასშტაბით საქართველოს უნიკალური პოლიტიკური როლის განსაზღვრას ემსახ-